ჯადოსნური სიტყვები

ნათია უჩავა

მესამე კლასში მოსწავლეები ახალი საგნის „მე და საზოგადოების“ შესწავლას იწყებენ. საგნის შესწავლისას მოსწავლეები არაერთ მნიშვნელოვან თემას ეხებიან. ერთ-ერთი თემა გახლავთ „ჯადოსნური სიტყვები“, რომლის ფარგლებშიც ისინი სწავლობენ ამ სიტყვების მნიშვნელობასა და სიტუაციურად გამოყენებას.

გთავაზობთ რამდენიმე აქტივობას, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება გაკვეთილი საინტერესოდ და პრაქტიკულად წარმართოს:

პირველი ეტაპი: საინფორმაციო ვიდეოს ჩვენება. ვიდეოში მოსწავლეები თანატოლის მიერ ახსნილ მნიშვნელობებს მოისმენენ, რაც კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

მეორე ეტაპი: სახელმძღვანელოში მოცემული ჯადოსნური სიტყვები წაუკითხეთ მოსწავლეებს და სთხოვეთ, ჩამოთვალონ, რა სიტუაციაში იყენებენ თითოეულს. მოიყვანონ პრაქტიკული მაგალითები სასკოლო ცხოვრებიდანაც. მაგალითად მოაფიქრებინეთ წინადადებები, როგორ გამოიყენებდნენ ჯადოსნურ სიტყვებს. „მადლობა, რომ კალამი მათხოვე“; „თუ შეიძლება დამეხმარე მერხის გასწორებაში“ და ა.შ.



მესამე ეტაპი: ათამაშეთ როლური თამაშები. სთხოვეთ, ილუსტრაციის მიხედვით გაითამაშონ მადლობის, ბოდიშის მოხდის, დილის მისალმებისა და სხვა ჯადოსნური სიტყვების სცენა.

მეოთხე ეტაპი: დაწერეთ ფერად ფურცელზე ჯადოსნური სიტყვები. გაუნაწილეთ მოსწავლეებს წყვილებში და სთხოვეთ ჯადოსნური სიტყვის საშუალებით მოიფიქრონ და დაწერონ პატარა ამბავი.

წყვილებში მუშაობით მოსწავლეები შექმნიან სიტუაციურ ამბავს, რომელიც დაეხმარება მათ ჯადოსნური სიტყვების უკეთ გააზრებაში; მოახდენენ ცოდნის ტრანსფერს ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან; განივითარებენ პრეზენტაციის უნარებს.

ასევე, მოსწავლეებს შეგიძლიათ სთხოვოთ, დააკვირდნენ, ყოველდღიურად რა სიხშირით იყენებენ ჯადოსნურ სიტყვებს. ეს მათ დაეხმარება კონცენტრირდნენ ჯადოსნურ სიტყვებზე და გამოიყენონ ისინი უფრო ხშირად.

დაბოლოს, გვახსოვდეს, რომ ჯადოსნური სიტყვების თქმა არასდროსაა ბევრი.